დიდი ანგარიშით

"დინამო" (თბილისი)– "ტორპედო" (მოსკოვი) 7:1 (3:0) თბილისის ლ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონი. 15 აპრილი. მსაჯი ა. ტაველსკი (კუიბიშევი).

დინამოელებმა უკვე მეორე მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით. მიუხედავად იმისა, რომ ტემპი არ იყო მაღალი და თბილისელებს მთელი ძალით არ უთამაშიათ, მოსკოველთა კარში 7 ბურთი იქნა გატანილი ამჯერად თბილისის "დინამოს" თავდასხმელებმა მაქსიმალურადა გამოიყენეს ბურთების გატანის შესაძლებლობა: მოწინააღმდეგის კარის იერიშების მეტი წილი გოლით დაგვირგვინდა.

ყველაზე შედეგიანი ამ თამაშში ახალგაზრდა კ. გაგნიძე (#*) აღმოჩნდა, რომელმაც 4 ბურთი გაახვია "ტორპედოს" კარის ბადეში. თითო ბურთი გაიტანეს ღოღობერიძემ, თოდრიამ და ბ. პაიჭაძემ.

თბილისელთა თამაშში აღსანიშნავია ერთშეხებიანი, სწრაფი კომბინაციების სიუხვე და კარგი ურთიერთმოქმედება რგოლებს შორის.

მოსკოველებმა ერთადერთი ბურთი გაიტანეს კუთხური დარტყმის შედეგად (ნეჩაევი).

მოსკოვის "ტორპედომ" ამ თამაშში კვლავ არასახარბიელო შთაბეჭდილება დასტოვა. გასულ წლებთან შედარებით იგი როგორც ტაქტიკურად ისე ტექნიკურადა ძლიერ სუსტად გამოიყურება.

* * *

თბილისის "დინამომ" მოიგო დუბლიორთა მატჩიც – 2:1.

“ლელო”, 20 აპრილი 1951 წ.